PDF Eraser Free



*დანართი №2*

ა(ა)იპ კოლეჯი "იკაროსი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები**<br>თავმჯდომარე: ალინა კუპრავა<br>**წევრები:**<br>ნანა შათირიშვილი |

*(ქ.თბილისი, 2020 წელი)*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი “იკაროსი”
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ვიზიტის მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 23 ივნისის N 508545 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ კოლეჯ "იკაროსში" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი "სარესტორნო მომსახურების" პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, შეფასება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით

დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: აქტივობები:

- ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;
- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტების და დაწესებულეის ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები.

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*არ დაფიქსირებულა*

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

### სტანდარტი 2

### კომპონენტი 2.2.1.

**კრიტერიუმი 1. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით:** პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე.

**კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით:** პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა რომლებიც განახორციელებენ ინტეგრირებულ მოდულებს, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, საჭიროა გაიარონ გადამზადება ინტეგრირებული მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სარესტორნო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Restaurant Service |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N01- 09/89 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | მარშალ გელოვანის გამზირი N4, 0159 თბილისი, საქართველო ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | მარშალ გელოვანის გამზირი N4, 0159 თბილისი, საქართველო ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“ – 180 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, | 90 პროფესიული სტუდენტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ■ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ მისიაა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და დასაქმების საშუალებას მისცემს. შესაბამისად შემუშავებულია (ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და 2020 წლის სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმის ერთ ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. გამომდინარე იქიდან, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტეგრირებული სწავლება ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრის მიზნით წარმოადგენს 2013-2020 წლების პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ერთერთ ამოცანას.პროფესიული განათლების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად საჭირო გახადა „ჩიხების“ აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის პროფესიული სტუდენტების გადასვლას განათლების ზედა საფეხურებზე. ვინაიდაან განათლების სისტემაში დაინერგა ამ ჩიხის აღმოფხვრის საშუალება ინტეგრირებული სწავლების სახით,კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს ახალ პროცესებში და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ინტეგრირებული სწავლების დანერგვით.

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია, რომ არაინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ინტეგრირებულ პროგრამაზე საბაზო განათლება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრას განსახორციელებელი პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სათანადო ინვენტარით არჭურვილი ფართის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს, ბიბლიოთეკის ფონდის, მატერიალური რესურსის მიხედვით და ასევე ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე ინტეგრირებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით .

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი(ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი), უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.პროგრამა მოიცავს 2 არჩევით მოდულს (ღვინის დეგუსტაცია, ბარის ორგანიზება), რომელიც ლოგიკურ ბმაშია შინაარსობრივად სარესტორნო მომსახურების პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6.კოლეჯის წესდების მე-4-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N01-09/89 ბრძანებით . პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

7.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაა სარესტორნო მომსახურება,ხოლო სწავლის შედეგები უშუალოდ არის დაკავშირებული სარესტორნო მომსახურება პროფესიასთან, შესააბამება პროგრამის დასახელებას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი “სასტუმრო, რესტორანი, კვება“ 10117-პ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანება “საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა,პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმები,ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმა არის სამ წელზე გაწერილი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ა(ა)იპ კოლეჯი იკაროსის სტრატეგიული განვითარების და 2020 წლის სამოქმედო გეგმებით;
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთები;
- ვებ გვერდზე განთავსებული მისიით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამის სასწავლო გეგმებით;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- დანართით მატერიალურ- ტექნიკური რესურსის შესახებ;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ ბალანსზე რიცხული მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსით;
- კოლეჯის წესდებით;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N01-09/89 ბრძანებით პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ დამკიცების შესახებ;
- გასაუბრების შედეგებით;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ გარემო (სარესტორნო სახერლოსნო)-2 ; თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი; A გარემო(თეორიული და ინტეგრირებული სწავლება)-2 ; თითოეულ აუდიტორიაში ერთდროულად 15 სტუდენტი; სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში; AB გარემო (კომპიუტერული კლასკაბინეტი,) 4; თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი;სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში; C გარემო (სასტუმროს ნომრები) 2 ; თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი; სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში; C გარემო (პირველადი დახმარების აუდიტორია)-1 ; თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი;სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში; C გარემო (სამზარეულოს სახელოსნო)-1 ; თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი;სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში; C გარემო (სამრეცხაო) 1 ; თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი;სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში; C გარემო (ბარის სახელოსნო) 1 ; თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი;სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში; თითო მიღება 4 ჯგუფი, სულ კოლეჯს 3 ცვლაში შეუძლია სარესტორნო მომსახურების C გარემოში ერთდროულად 12 ჯგუფის სწავლება 15-15 სტუდენტით; იქიდან გამომდინარე რომ ცვლის შერჩევას ახდენს სტუდენტი კოლეჯი შესაძლებლობას მისცემს მათი სურვილი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული, შესაბამისად აყვანა 3 მიღების მანძილზე განხორციელდება მხოლოდ 12 ჯგუფის; თითო მიღებაზე 4 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი; სულ 60 სტუდენტი. ვინაიდან ინტეგრირებულ პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა არის 3 წელი, ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზა 2 წელი; შესაბამისად III წელს კოლეჯში სტუდენტთა რაოდენობა სარესტორნო მომსახურების პროგრამაზე იქნება მაქსიმალური 180 სტუდენტი- 12ჯგუფი; C გარემოში სტუდენტს მაქსიმალური დატვირთვა ექნება კვირაში 15 საათი. სასწავლო გეგმა არაინტეგრირებულ ახალ პროგრამაზე გაწერილია 2 ბლოკად; თითო ბლოკის დასრულების ვადა ემთხვევა ახალი ჯგუფების მიღების დროს. ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე 3 ბლოკად; კოლეჯს კურსის თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს აუდიტორია(A და B) ; თეორიული კომპონენტის მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 15 სთ; 12 ჯგუფის შემთხვევაში 180 საათი; შესაბამისად 1 თეორიული კლასი 3 ცვლის და შაბათი კვირის დატვირთვის გათვალისიწნებით 105 საათი .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თითოეული აუდიტორიის დღიური მაქსიმალური დატვირთვა 15 საათი. შესაბამისად 6 აუდიტორიის კვირეული სრული დატვირთვიდან (630სთ) სარესტრო მომსახურების პროგრამისთვის საკმარისია 180სთ. პირველადი დახმარების სწავლება გამოყოფილი სამედიცინო სასწავლი ოთახში; სწავლების კომპონენტის მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 2 სთ; სწავლება მიმდინარეობს II ბლოკში. ჯგუფების მაქსიმალური რაოდენობა სარესტორნო მოსმახურების პროგრამისთვის 4 ჯგუფი ; საკონტაქტო საათების სრული მაქსიმალური რაოდენობა 8 საათი. აუდიტორიის დღიური დატვირთვა სარესტორნო მოსმახურებისპროგრამისთვის არის 7 დღეზე არაუმეტეს 2 სთ. ზემოთაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე კოლეჯის სარესტორნო მომსახურების სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა 180 სტუდენტი. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილი არის შესყიდვის პრო ცესში,დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი ხელშეკრულების საგანი, რესურსების დასახელება, რაოდენობა, ფასები და ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დაწესებულებაში მობილიზება განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

2. პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაზე განსაზღვრულია დარგის 41 პროფესიული მასწავლებელი. ასევე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები ზოგადი, პროფესიული და ინტეგრირებული მოდულებისთვის. ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა წინარე შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა 29 პროფესიულ მასწავლებლებთან ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით, ორეტაპიანი შერჩევის გზით (კონკურსი), მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით,მასწავლებლებან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები;

3. პროფესიული განათლების მასწავლებელა კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი კვალიფიციური კადრის მოზიდვა. დამატებით, ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები გაივლიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგს.

4. პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად კოლეჯს დანიშნული ჰყავს დარგის სპეციალისტები და აქვთ დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვნად უხელმძღვანელონ პროგრამის განხორციელების პროცესს და მონაწილეობა მიიღოს მის განვითარებაში;

5. კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული ლიტერატურა (ასევე ელექტრონული) ხელმისაწვდომია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ლეპტოპები 5ც, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში და კოლეჯის თითოეულ სტუდენტსა და თანამშრომელს აქვს აღნიშნულ მასალასთან წვდომა. კოლეჯს შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის შტატი. კოლეჯის ბიბლიოთეკარს აქვს უმაღლესი განათლება, ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მუშაობის 6 წლის პრაქტიკული გამოცდილება.

6. კოლეჯს აქვს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მოქმედებს კანონით დადგენილი წესისა და თავისი კომპეტენციების შესაბამისად.

7. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას და სასწავლო მასალების ხარჯებს, სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 15 პროფესიული სტუდენტით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის“ ბალანსზე რიცხული მატერიალურ - ტექნიკური ბაზით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ მიერ პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ სტრატეგიული გეგმით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/82 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის „იკაროსი“ ბიბლიოთეკის დებულებისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/75 ბრძანებით „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- გასაუბრების შედეგებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**შეფასება:**

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.
პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით:

P – plan - დაგეგმვა; D – do - განხორციელება; C - check - შემოწმება; A – act - რეაგირება.

დაგეგმვა ( plan) – დასახული ამოცანების შესასულებლად უნდა დაიგეგმოს ჩასატარებელი სამუშაო და შემუშავებულ იქნეს სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოსა და მონიტრინგის ვადებს;

განხორციელება (do) - შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი დაგეგმილ ვადებში ახდენს სასწავლო განრიგის პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების გეგმებთან შესაბამისობის დადგენას, ამოწმებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის) მდგომარეობასა და კოლეჯში მოქმედი პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობას, ამოწმებს საბიბლიოთეკო წიგნად ფონდს (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, პროგრამების მოდულებსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა), ამოწმებს ვებ-გვერდის მუშაობასა და ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების პროცესს, მოდულისა და სწავლის შედეგების საკონტაქტო საათებზე დასწრებითა და შედეგების დადასტურების მონიტორინგით ამოწმებს მოდულის/სწავლის შედეგების შესაბამისობას კალენდარულ გეგმასთან და შედეგების დადასტურების მიმდინარეობის პროცესს; სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხისა და აქტუალობის მონიტორინგის მიზნით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
ატარებს პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორმასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას.

შემოწმება (check) - შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. დასკვნების და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით წარდგენა ან/და ზეპირი პრეზენტაცია. შემოწმების/შეფასების ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ან/და შემოწმების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელ-შიც შევლენ სათანადო კომპეტენციის მქონე თანამშრომლები ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირები.

რეაგირება (act) - შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების გამოსაკვეთად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთერთი უმთავრესი კომპონენტია კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი: ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას; ბ) რის გამოც, ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, დასწრების ოქმებს მოდულის შიდა შეფასებისათვის). შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური/დუალური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორიელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს. ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს, რამდენად თავსებადია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენციები პროფესიულ სტანდარტთან მიმართებაში.

2.დაწესებულებაში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფოკუს ჯგუფებში პრობლემური თემების განხილვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებში გამოკითხვის შედეგად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოკვეთოს არსებული პრობლემები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, ამასთან პროგრამის ხელმძღვანელები არიან დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის საჭიროებებს, შესაბამისად პერიოდულად ხდება გავლილი მოდულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესაფება და საჭროების შემთვევაში ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადების წარდგენა კოლეჯის დირექტორისთვის. ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის სპეციალისტთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს და პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცამა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/87 ბრძანებით „ა(ა)იპ -კოლეჯში “იკაროსი” ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცებისა და შიდამონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“.
- პროფესიულ სტუდენტთა,მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა კითხვარები და მათი გამოკითხვის შედეგებით;
- მოდულის განხორციელების და შედეგის დადასტურების შეფასების კითხვარებით;
- შიდა მონიტორინგის (შიდა მხარდაჭერის) ჯგუფის შეხვედრის ოქმებით;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის ბრძანებით N 01-09/71 „ა(ა)იპ - კოლეჯში „იკაროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და პროგრამის გაუქმების წესისა და პროცედურების შესახებ;
- გასაუბრების შედეგებით;

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო გეგმებს, მათ შორის ინტეგრირებულს(სადაც დაცულია მოდულის განხორციელების წინაპირობები) კოლეჯი უზრუნველყოფს სასწვლო პროცესის ორგანიზებას, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.

2. ა(ა) იპ კოლეჯში „იკაროსი“ საგანმანათლებლო საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები. პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებას. ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიები ამოიყენება ლექციური და პრაქტიკული მუშაობის დროს. კოლეჯი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში;

3. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწვლო პროცესის ორგანიზებას, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მათთვის სასურველი სასწავლო გრაფიკის შეთავაზებით, ასევე შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფოკუს ჯგუფებში პრობლემური თემების განხილვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებში გამოკითხვი შედეგად გამოკვეთოს არსებული პრობლემები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ ინდივიდუალური გეგმა იქმნება იმ შემთხვევაში, თუკი, სასწავლო პროცესში დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად, ჩნდება საჭიროება პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად დაზუსტდეს სასწავლო მიზნები და შეიქმნას მისთვის ინდივიდუალურად ხელსაყრელი სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის. დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც: სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან; პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტობის მიზნით ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მიმდინარე სასწავლო ჯგუფების პროფესიული სტუდენტების გადაყვანას ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში.

მოდულის დასრულებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება არა უგვიანეს პროგრამის დასრულებამდე(იმ შემთხვევაში თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა). სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად. შეზღუდული შესაძლებობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე);

5.კოლეჯი პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს დაწესებულების ბაზაზე, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სარესტორნო მომსახურება“ განხორციელებისას დაგეგმილია სასწავლო ექსკურსია, რომლის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ადგილზე გაეცნობიან სამუშაო ადგილს. განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება, ბიზნესი მზად არის მიიღოს პრაქტიკაზე სტუდენტები, ხელი შეუწყოს პრაქტიკული უნარ ჩვევების განვიტარებას და მათ დასაქმებას შრომის ბაზარზე.

6.კოლეჯში სასწავლო გარემოს უსაფრთხოებადაცულია. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს ხანძარსაწინაამღდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები, ხანძარსაწინაამღდეგო ინვენტარი; ცეცხლმაქრები განთავსებულია შენობის სართულებზე საევაკუაციო გეგმაზე მითითებული პირობითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღნიშვნების შესაბამისად, ყოთოეულ ცეცხლმაქრთან გამოკრულია გამოყენების ინსტრუქცია. დაცულია ცეცლმაქრების გამოყენების ვადები. კოლეჯის მიერ შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სამივე სართულზე. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა; კოლეჯს გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და სამედიცინო საშუალებებით. სტუდენტებს და პერსონალს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მედდა. კოლეჯს გააჩნია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ ვიდეო სათვალთვალო სისტემა შენობის სართულებზე და ასევე ეზოში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო გეგმებით;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/87 ბრძანებით „ა(ა)იპ -კოლეჯში “იკაროსი” ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცებისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“.
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრის ოქმებით;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/87 ბრძანებით „ა(ა)იპ -კოლეჯში “იკაროსი” ხარისხის უზრუნველყოფისშიდა მექანიზმების დამტკიცებისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“.
- პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა კითხვარებით;
- გამოკითხვების ანალიზი შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები, ლექციებზე დასწრებისკითხვარებით;
- მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სარესტორნო მომსახურება“ ხელშეკრულებებით;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N01-09/78 ბრძანებით „ა(ა)იპ - კოლეჯში „იკაროსი“ უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ;“
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N01-09/76 ბრძანებით „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- გასაუბრების შედეგებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მიმართ მოთხოვნებს:

ა) ვალიდურობა -შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით

ბ) სანდოობა-შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

გ) გამჭვირვალეობა -შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის.

დ) სამართლოანობა-შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელი პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნება ჩაყენებული)

ე) ობიეტურობა -შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული რაც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების პროცესის განხორციელების და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულებების მიმართ. პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის

2.კოლეჯს შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის სისტემა, რაც გულისხმობს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესები, შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია:

ა. ვალიდურობა; ბ. სანდოობა; გ. გამჭვირვალეობა;დ. სამართლოანობა; ე. ობიეტურობა,

კოლეჯში ვერიფიკაციას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად,რომლებიც ადგენენ შეფასების ინსტრუმენტის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, შეფასების სტანდარტებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისობას, ვალიდურობას და სანდოობის ხარისხს. ვერიფიკაციის ჯგუფი აგროვებს ინფორმაციას/მონაცემებს/მოდულის შედეგის დადასტურების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმეტებს, მტკიცებულებებს და შეფასების უსყისებს მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ განსახილველად გადასცემს საკვალიფიკაციო კომისიას. ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მისმიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები; დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო,გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას დაწესებულებაში სასწავლონ პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის; დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.
სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

3. შეფასებიდან მაქსიმუმ სამ სამუშაო დღეში პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის შეფასების უწყისის ჩაბარებას სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა განმეორებითი სწავლის შედეგის შეფასების უწყისი; განმეორებითი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის განმეორებითი შეფასების უწყისის ჩაბარებას, შეფასებიდან არაუმეტეს სამ სამუშაო დღეში; მოდულის ფარგლებში მოპოვებულ პროფესიულ სტუდენტების შეფასების მტკიცებულებებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ინახავს შესაბამისი ჯგუფის პორტფოლიოში; მოდულის დასრულებისას პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები ინახება ინდივიდუალურ პორტფოლიოში. შენახვაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი. მოდულის მიმდინარეობის პროცესში შეფასების მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი, გარდა დუალური პროგრამის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალისა, რომლის შენახვაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს; მოდულის დასრულებიდან ან განმეორებითი შეფასების დასრულებიდან ორი კვირის პერიოდში (10 სამუშაო დღე) პროფესიული სტუდენტის მტკიცებულებების და საბოლოო შეფასების უწყისის ჩაბარებას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის; ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახებ მუდმივად.საქმისწარმოების წესითს შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას დაწესებულებაში სასწავლონ პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის;

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/87 ბრძანებით „ა(ა)იპ -კოლეჯში “იკაროსი” ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცებისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“.
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N01-09/91 ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისსაფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირების დებულების დამტკიცების შესახებ“
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/87 ბრძანებით „ა(ა)იპ -კოლეჯში “იკაროსი” ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცებისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“.
- შეფასებებზე ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების დასწრების კითხვარებით;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/86 ბრძანებით „ა(ა)იპ - კოლეჯის „იკაროსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციით;
- გასაუბრების შედეგებით;

**შეფასება:**

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

18.07.2020 წ

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: